I №38.

№ 146. 28 ივლისი, ხუთშაბათი 1866—1883 26 ივლისი, ხუთშაბათი. № 146.


რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში, ყაზარმის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.


# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.


ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


## ქუთაისის საქალებო წმ. ოლღის გიმნაზიისაგან.

ვაცნობებთ მშობლებს ამ გიმნაზიაში მოსწავლე ქალებისას, რომ მისაღები და ხელ-ახლა დასაჭერი გამოცდა დაიწყება ამ წელს 20 აგვისტოდგან. ამიტომ ვთხოვთ მშობლებს მოიყვანონ თავისი შვილები აღნიშნულ დროს და მასთანვე შემოიტანონ ხვედრი სწავლის ფულებისათვის გადასახადი ფული. სწავლა დაიწყება პირველის ენკენისთვიდგან.

მოსწავლე ქალები, რომელნიც არ გამოცხადდებიან დანიშნულ დროს უპატივსადებ მიზეზით და ან არ შემოიტანენ სწავლის ფულებისათვის გადასახადს ფულს,—გიმნაზიიდგან გამოსულებათ ჩაითვლებიან. (3—2)

## ქუთაისის პროგიმნაზიისაგან.

რადგან სივიწროვისა გამო შენობისა, რომელშიაც პროგიმნაზია თავსდება, შიგ მყოფთა შეგირდთა დატევა სჭირს, ამიტომ ამ წელს როგორც უმთავრესს (ОСНОВНОЙ) ისე «პარალელურ» კლასებში ახალი შეგირდები არ მიიღებიან. არის მხოლოდ 30 ადგილი მოსამზადებელ კლასში. თუ, ვინიცობაა, ამ კლასში შემოსვლის მსურველთ რიცხვი აღემატა აღნიშნულ 30-ს, მაშინ მიიღებიან ისინი, ვინც დაიჭერს შეცილებით (КОНКУРСНЫЙ) გამოცდას. მისაღები გამოცდა დაიწყება 20 აგვისტოდგან.

გარდა ამისა, პროგიმნაზიის მთავრობა უმორჩილესად სთხოვს მშობლებს იმ შეგირდებისას, რომელნიც აქ სწავლობენ, რომ მათ დროით იზრუნონ, თავიანთ შვილებს ფორმის ტანსაცმელი შეუკერონ და სწავლის ფულებისათვის გადასახადი ფული დროზედ შემოიტანონ. (3—2)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

25 ივლისს.

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მოსკოვზედ გაიარა და თავის მამულში წავიდა, რიაზანის გუბერნიაში.

პოლტავა. გუშინ სამეურნეო გამოფენაზედ ჯილდოების დარიგების დროს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა კვიტკამ თავის სიტყვაში აჩვენა, როგორ მდიდარი მასალა შეიკრიბა ცხენებისა და საქონლის მოშენების გასაცნობად, თუმცა კი მინდვრის მუშაობის დროს ამ გვარი გამოფენა არ ვარგულობს.

ლისაბონი. ესპანიაში, ბადახოსში, მოხდა რესპუბლიკური აჯანყება. აჯანყებაში ჯარებმა მიიღეს მონაწილეობა. ტელეგრაფი და რკინის გზა შეჩერებულია; აჯანყებულები ბევრი დაიჭირეს.

26 ივლისს.

პეტერბურღი. იუსტიციის მინისტრი წავიდა სამზღვარ გარეთ და სამინისტროს მმართველობა ჩააბარა თავის ამხანაგს მარკოვს.

ალექსანდრია. 24 ივლისს შვიდი კაცი მოკვდა ხოლერით.

მადრიდი. ჯარებმა და მოქალაქეებმა გამოაცხადეს ბადახოსში რესპუბლიკა და ჟანდარმერიას იარაღი აჰყარეს; როდესაც ჯარები ქალაქთან მივიდნენ, აჯანყებულებმა პორტუგალიის სამზღვრისკენ დაიწიეს. მიიღეს ზომები აჯანყების საჩქაროდ მოსასპობლად. ესტრემადურის პროვინციას გარს ჯარი შემოარტყეს. დანარჩენი პროვინციები მშვიდობიანად არიან.

ლონდონი. გლადსტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატას, რომ ინგლისს არა უთქვამს რა სხვა სახელმწიფოთათვის შესახებ ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანისა დანიშნულს ვადაზე, მაგრამ სახელმწიფოებმა იციან კი ინგლისის განზრახვათ,—მაინც-დამაინც ხოლერა შეაგვიანებს ჯარების გამოყვანას.

## თბილისი, 27 ივლისს.

როგორც რუსეთის ზოგიერთი გაზეთები გვატყობინებენ, სახალხო განათლების სამინისტროს განუზრახავს სამეურნეო განყოფილების გამართვა რეალურ სასწავლებლებში იმ ორ განყოფილებათა გარდა, რომელნიც დღემდის არსებობდენ. ეს ზომა გამოწვეულია ზოგიერთა ერობათა მეცადინეობით და თხოვნით, რომელთაც კარგა ხანია შეუგნიათ, თუ რა ყოფაში იმყოფებიან რუსეთში რეალურ სასწავლებლებში კურს-შესრულებულნი: ეს უკანასკნელნი თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან საშუალებას უმაღლესი განათლების მიღებისათვის, თუმცა რუსეთში მოიპოვება არა ერთი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი, რომელშიაც შეგირდებს—რეალისტებს კანონის ძალით ნება აქვთ, სწავლა განაგრძონ. მაგრამ, მათი ნება ერთობ ვიწრო წრეშია მოქცეული ზოგიერთა გარემოებათა წყალობით, მაგალითად: ვაკანსიების ნაკლებობით, სასტიკის ეგზამენებით უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს და საზოგადოდ იმ უპირატესობით, რომელიც მინიჭებული აქვსთ კლასიკურ გიმნაზიებს შედარებით რეალურ სასწავლებლებთან. იგივე რეალისტები მოკლებულნი არიან საშუალებას, განაგრძონ სწავლა უნივერსიტეტში მატემატიკურ განყოფილებაზე, თუმცა ამისათვის რეალური სასწავლებელი უკეთესად ამზადებს თავის შეგირდებს, ვიდრე კლასიკური გიმნაზია. ამისათვის რეალისტების უმეტესობას ესპობა საშუალება, შეიძინოს უმაღლესი განათლება და არ იცის, რას მოჰკიდოს ხელი; სწორედ საწყალობა ამ ახალგაზდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის კაცის მდგომარეობა, რომელსაც გზაზე გარდაღობია მის მიერ უძლეველი გარემოება; ეს გარემოება გულში უკლავს საუკეთესო იმედებს, იდეალებს და უქრობს იმ წმინდა გრძნობებს, რომლებითაც დღემდის აღჭურვილი იყო იგი. ამის შემდეგ მას ერგება ბედად ან შესვლა სამსახურში, რომელიც მას ბევრს არას უქადის, რადგანაც იგი მოკლებულია უმაღლესს განათლებას, ან და სამზღვარ გარეთ გასვლა სანატრელ განათლების შესაძენად. რამდენადაც არა სასურველი და სამძიმოა ახალგაზდა კაცისთვის სამსახურში შესვლა, იმოდენადაც მოუხერხებელია მისთვის სამზღვარ გარეთ გასვლა, თან მატერიალურის შეუძლებლობის და უცხო ენების უცოდინარობის გამო, თან იმით, რომ სამზღვარ გარეთ გასვლა ახალგაზდობისათვის გაძნელებულია, თან იმით, რომ სამზღვარ გარეთულს განათლებას სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, დიდი პატივი არა სდევს სამშობლო ქვეყანაში. ერთი სიტყვით რეალურ სასწავლებლებს და განათლებას არ მინიჭებია ის უპირატესობა, რომლითაც

«დროების» ფელეტონი, 28 ივლისი.

## დედი-ჩემის ცოდო

(მოთხრობა)

(გაგრძელება*)

### III

ბოლოს, როცა დედაჩემმა ისევ მოჰკიდა ხელი ოჯახის საქმეებს, მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ რა მდგომარეობაში ჩავცვივნულვიყავით ჩვენის დის ავად-მყოფობის გამო. რაც კი რამ ფული გაგვაჩნდა, ექიმებზე და წამლებზე წასულიყო.

თითქმის ყველა ხალიჩები და თავის ხელით ნაქსოვები დედა ჩემს სულ უბრალო ფასად დაეყიდა, ან მარლატნებისა და მკითხავებისათვის ეჩუქებინა. დანარჩენი ავეჯეულობა მოეპარა ამავე ხალხს ანუ ამათ მზგავსებს, როდესაც ჩვენს სახლში ანულას ავად-მყოფობის დროს არეულობა იყო.

მალე ყოველივე საშუალება მოგვესპო; აღარ ვიცოდით, რა გვექამა და რა გვესვა. დედა-ჩემი შეუდგა მტკიცედ გარეთ მუშაობას და რამდენსამე ხანს იმითი გვარჩენდა, რასაც თავის ოფლით იშოვიდა. პატარა ხანს უკან ჩემს უფროს ძმას უნდა სკოლისათვის თავი დაენებებინა და შესულიყო სადმე; ესე იგი იმისთანა ხელობა ესწავლა, რომელიც იმას ლუკმას მისცემდა და დედა ჩემს ერთს მჭამელს თავიდამ მოაშორებდა. მოვიდა ჩემი რიგი: მეც უნდა უცხო ქვეყანაში წასვლაზედ მეფიქრა, რომ ერთი მჭამელი კიდევ მომეშორებინა. ეს ყველა დიდი შეღავათი იქნებოდა; მაგრამ ამავე დროს ჩვენს მხარეში ცუდი ამბები ისმოდა: მოსავალი ვერ მოვიდა კარგი, ყველაფერი გაძვირდა. დედა ჩემი თავის ხელსაქმით ჩვენც ძლივს აგვდიოდა და უცებ ვიღასიც პატარა ქალი მოიყვანა და ისეთი ნებივრობა და მოვლა დაუწყო, რომ ჩვენთვის სრულებითაც ისე არ მოუვლია, როცა იმ ბავშვის ხნისა ვიყავით, და როცა გარემოება უფრო ხელს გვიწყობდა. ჩვენ იმისი ნაშობი შვილები, პატარა ხანს უკან, ან უნდა უცხო მხარეს გავსულიყავით, ან სამძიმო ღამეები გაგვეტარებინა სახელოსნოებში და თვალ-წინ მწუხარებით წარმოდგენილი გვქონოდა ჩვენი სამშობლო სახლი, რომელიც ჩვენგან შორს იყო,—და ის კი, ვიღაც უცხო ქალი იზდებოდა და სიამოვნებდა ჩვენს სახლში ისე, თითქო მართლა ეს სახლი იმის დედ-მამისა ყოფილიყო.

რამდენსამე წელს შემდეგ უფრო მოსავლიანი წელიწადი დადგა. თუმცა ორი ჩემი ძმა პატარები იყვნენ, მაგრამ რასაც ისინი შოულობდენ, კმაროდა დედი-ჩემის სამძიმო შრომისაგან განთავისუფლებისათვის; ამ ფულებს დედა ჩემი თავის თავს კი არ ახმარებდა, თავის შვილობილს სამზითვოდ უნახავდა და თითონ კი უწინდელებურად შრომობდა.

მე შორს ვიყავი, ძალიან შორს, ისე შორს, რომ რამდენსამე წელიწადს არ ვიცოდი, რა ამბავი იყო ჩვენს სახლში. ჩემს დაბრუნებამდის დედი-ჩემის შვილობილი გაზდილიყო, გაეთხოვებინათ კიდეც და მზითევიც ისე მიეცათ, როგორც ჩვენის ოჯახის-შვილისათვის. იმის გათხოვება სწორედ სასიხარულო ამბავი იყო ჩემის ძმებისათვის. ივ უბედურებს უხაროდათ, რომ ძლივს მოიშორეს ეს ტვირთი უიმისოდაც დატვირთულ მხრებიდამ და არც გასამტყუნარნი იყვნენ, რადგან ის ყმაწვილი ქალი მცირედს სიყვარულსაც არა გრძნობ-

*) იხ. «დროება» № 142.

დღემდის დაუბრკოლებლივ სარგებლობს კლასიკური განათლების სისტემა, თუმცა საზოგადოებას და მწერლობას არა ერთხელ აღუძრავთ ბაასი ამავე საგანზე და მოუწადინებიათ სხვა და სხვა ღონისძიებით რეალურ სასწავლებლებში კურს შესრულებულთა მდგომარეობის შემსუბუქება და მათთვის უმაღლესის განათლების მიღების გაადვილება.

ყველა ის ზომები, რომელნიც ასე ავიწროებენ რეალურს განათლებას, გამოწვეულნი არიან იმ სისტემის წყალობით, რომელიც მოწადინებულია გაავრცელოს რუსეთში კლასიკური განათლება და დაამყაროს იგი მკვიდრს ნიადაგზე.

საზოგადოდ უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ არა ვართ მომხრენი საშუალო განათლებისთვის სპეციალურის, განსაკუთრებითის ხასიათის მინიჭებისა. დაწყებითი და საშუალო განათლება არ უნდა იყოს სპეციალური; ესრედ წოდებულ კლასიკურ და რეალურ სისტემების არსებობა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ დროებით მოვლენათ. მანამდის კი ყველანი მოწადინებულნი უნდა ვიყოთ შეძლებისამებრ აღმოვუჩინოთ სწორი შემწეობა ორთავე სისტემას. რადგანაც ჩვენ თვითონ ამ აზრისა ვართ, ამიტომაც ჩვენთვის ფრიად სასიამოვნოა სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა შესახებ სამეურნეო განყოფილების დაარსებისა რეალურ სასწავლებლებში. რასაკვირველია ეს ზომა ვერ შესცვლის რეალურ სასწავლებლების შეგირდთა ბედსა; იგი მისცემს მათ მხოლოდ საშუალებასა შეისწავლონ პატიოსანი და სასარგებლო ხელობა და შეუდგნენ ნაყოფიერს შრომას.

დღემდის რეალურ სასწავლებლებში არსებობდა მხოლოდ ორი განყოფილება: ძირითადი (ОСНОВНОЕ) და სავაჭრო; ეხლა კი სამეურნეო განყოფილების დაარსების შემდეგ რეალისტებს ცოტათი მაინც ეხსნებათ ცხოვრების გზა. სულ არარაობას ესეც სჯობია და ჯერ-ჯერობით ძალაუნებურად ცოტასაც დავსჯერდეთ.

გარდა ამისა, სამეურნეო განათლება მეტად საჭიროა რუსეთისათვის, რომელშიაც ერთობ დაცემულია სხვა და სხვა მიზეზების გამო სახალხო მეურნეობა, თუმცა ბუნებით კი რუსეთი წარმოადგენს სამეურნეო ქვეყანას.

არა ნაკლებს საჭიროებას წარმოადგენს სამეურნეო განყოფილების დაარსება რეალურ სასწავლებლებში საზოგადოდ კავკასიისათვის და მეტადრე საქართველოსთვის. ამიტომაც ურიგო არ იქნება, მოიფიქროს ჩვენმა საზოგადოებამ ამ საგანზე და აღმოუჩინოს შემწეობა სახალხო განათლების სამინისტროს. მადლობა ღმერთს, იმ ხანში შესულნი ვართ, როცა შეგვიძლიან, ვიზრუნოთ ჩვენს საჭიროებაზე და არ შევსცქეროდეთ მუდმივ მთავრობას, რომელსაც უიმისოდაც ბევრი მოვალეობა აწევს ქვეყნის წინაშე და რომელიც საჭიროებს საზოგადოების თვითმოქმედებას. ყოველი საქვეყნო და საზოგადო საქმე მხოლოდ მაშინ არის დამყარებული მკვიდრს ნიადაგზე, როცა თვით საზოგადოება და ხალხი ზრუნავს თავის თავზე და ყოველს თავის საჭიროებას ყოველის მხრით განიხილავს. მხოლოდ იმ ხალხს მოელის უკეთესი მომავალი, რომელიც თვითონვე მიხვდება თავის საჭიროებას და შეუდგება მის დაკმაყოფილებას. უამისოდ შეუძლებელია ხალხის წარმატება, მაშასადამე, მომავალიც.

როგორც ამ წერილის დასაწყისში ვსთქვით, სამეურნეო განყოფილების დაარსება რეალურ სასწავლებლებში გამოწვეულია ზოგიერთა ერობათა მეცადინეობით და თხოვნით. ძალიან ერთხელ დაამტკიცა რუსეთელმა ერობამ, რომ იგი პატიოსნურად შრომობს ხალხის სასარგებლოდ, თუმცა არა ერთხელ მისცემია დაბრკოლება. რუსეთში ერობას ბევრი განსაცდელი გამოუვლია, ბევრჯერ ფრთა მოჰკვეცია, მაგრამ ის მაინც ეწევა თავის მძიმე უღელს და შეძლებისა და გვარად მოღვაწეობს ქვეყნის სასარგებლოდ. ეს გარემოება ხშირად აიწყდებათ იმ გვამთა, რომელნიც სიმძულვარით შეჰყურებენ ერობას და საზოგადოდ საზოგადოების თვითმოქმედებას; იგივე გარემოება არ უნდა დაივიწყონ ჩვენმა შინაურმა «მოღვაწეებმაც».

---

თანაგრძნობის ტელეგრამები მოუვიდა რედაქციას სერგეი მესხის გარდაცვალების გამო შემდეგთ პირთაგან: ამირეჯიბებისა, ქეთევან ყურულისა, ბაგრატიონისა, ყიფშიძისაგან და გ. ზალიკაშვილისაგან. აგრეთვე მღვდელი იოანე მახარობლიძე გვაცნობებს, რომ 25 ივლისს ს. ვაყას გადაუხდიათ პანაშვიდი სერგეი მესხისათვის.

გულითადი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ამასთანავე მმ. იმნაძემ, ბვარამძემ, მღებრიევმა, ასათიანმა, მთავარ-დიაკონმა კუხიანიძემ და მთავართა: ხეტეშვილმა, კავსაძემ და კეჭაიძემ.

---

## ახალი ამბები.

≈≈ დღეს გაიხსნა ცხენის რკინის გზა ერევნის მოედანსა და ვერას შუა. ფასი ამ სანზედ ერთი შაური. ვინც ვერიდამ მუშტაიდამდის, ან ვაგზალამდის ვერა-და ვერის ხიდის ავლებს მხოლოდ ორ შაურს გადიხდის.

≈≈ ს. ასალგორიდამ გვწერენ: თუმცა ჩვენს სოფელში 140 კომლამდე მკვიდრი მცხოვრებია და თითქმის ყველას ქვითკირის სახლი უდგას, ასე რომ პირველის შეხედვით ქალაქი გეგონებათ, მაინც თითქმის მთელის ქვეყნიდამ მოწყვეტილები ვართ, რადგან ჩვენში სახელმწიფო გზა არსაიდამ არ შემოდის. მართალია, ინჟინერებისაგან დაპლანილიც არის ამისთანა გზა, მაგრამ დიდიხანია დავიწყებას არის მიცემული. რა იქნებოდა, რომ გასწიონ ან ქ. გორის სტანციამდე, რომელნიც სულ 24-26 ვერსზე არიან ჩვენგან, გზა გაგვიყვანონ და ღონის-ძიება მოგვცეთ ჩვენც ქვეყნისა შევატყოთ რამე, ან ჩვენი ამბავი ქვეყნისათვის შევატყობინებინათ.

≈≈ გურიიდამ დიდი საჩივრები მოდის იქაურ სოფლის მოსამართლეებზედ; აი მაგალითიც: 10-ს ივლისს მაზრის უფროსის თანაშემწეს აღმოუჩენია ს. დვაბზუაში შემდეგი უკანონო ქცევა: ერთს გლეხს უჩივლია შარშან სასამართლოში, რომ მეზობელმა სრულიად ამომიკვეთეს გზა და ჩემის სახლიდან ფეხი აღარ გამომედგმებაო. მოსამართლეებს გზა გაუხსნიათ მისთვის, წრეულს მეზობელს კიდევ მოუსპო გზა, გლეხი კიდევ საჩივლელად წასულიყო, მაგრამ იგივე მოსამართლეები აღარ დახვედრიდნენ. ახლებს გარჩევის კვლა დაუნიშნათ, მაგრამ სანამ საქმე გაირჩეოდა, მომჩივნის ცოლს მწერლისათვის კაი მღვენი მიურთმია და გარჩევის დღესაც საღამომდის მოსამართლეებს კარგად ექეიფნათ მას სახლში. საღამოზედ თვალებ-ჩაწითლებულები გამოსულან სასამართლოში და გადაუწყვეტიათ მომჩივანს უარი ეთქვას გზის გახსნაზედ. ეს რომ შეუტყვია მაზრის უფროსის თანა-შემწეს, სოფლის მწერალი გადაუყენებია და ამბობენ მოსამართლეებსაც გადააყენებსო. ამ განკარგულებამ ხალხში სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

≈≈ ამას წინად ჩვენს გაზეთში გაკვრით იყო ნათქვამი, რომ ქუთაისში ებრაელებს სწავლის სურვილი კი აღძვრიათ, მაგრამ სკოლებს მაინც არ აარსებენო. ახლა ერთი ქუთაისელი ებრაელი გვწერს, რომ, თუმცა ამის გამხელა კარგი არ არის, მაგრამ სანამ ეხლანდელი რაბინი გვყოლება, ჩვენში სასწავლებელი ვერ დაარსდებაო. საზოგადოებამა სთხოვა რაბინს ნებით დატოვება თავის თანამდებობისა, მაგრამ არ ინება და ეხლა შინაგან საქმეთა მინისტრთანა ვართ წასული, რომ იმან მაინც გადააყენოსო. თუ ეს არ მოხერხდა, შენი მტერი, რომ ჩვენ ვერაფერი შევიძინოთ ვერც სწავლით, ვერც ზნეობის გაუმჯობესობით ეხლანდელის რაბინის ხელშიო.

≈≈ გასეთიდამ, ს. ასაშნიდამ, სამდურავს გვწერენ იქაურ მღვდელზედ: როდესაც საზიარებლად მიიწვევენ მომაკვდავთან, ხშირად არ გაჰყვება ხოლმე და რამდენიმე მაგალითი უთვლია იმის

---

და მათდამი. ბოლოს უმადურადაც მოექცა იმას, რომელიც ისეთის სიყვარულით მოეპყრო ყველასაგან მიტოვებულს ბავშვს, როგორის სიყვარულითაც ბევრი დედა არ მოეპყრობა თავის ღვიძლს შვილს.

ჩემს ძმებს ჰქონდათ მიზეზი მხიარულებისა. ისინი იმედეულობდენ, რომ რაკი დედაჩვენმა ასეთი უმადურება გამოსცადა, მეორედ აღარ მოინდომებდა ამის გამოცდას. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი განცვიფრება, როდესაც, რამდენსამე დღეს უკან ჩვენის დობილის გათხოვებისა, დედაჩემი დაბრუნდა შინ და ხელში ნაზად ეჭირა მეორე პატარა ქალი, ზეწრებში გახვეული და ისეთივე უცხო, როგორც პირველი იყო.

ჩვენ ყველანი დედაჩვენს დიდს პატივსა ვსცემდით, მაგრამ მოთმინება გამოგველია, როდესაც იძულებულნი შევიქენით ჩვენს შორის კიდევ თვალ წინ მუდამ უცხოს ნაშობი გვყოლოდა. ჩემმა ძმებმა სცადეს მოწიწებით დედაჩემისათვის დაეტოვებინებიათ მისი განზრახვა, მაგრამ არას გზით არ დასთანხმდა. მაშინ აშკარად გამოუცხადეს თავიანთ უკმაყოფილება და უარი უთხრეს თავიანთ ნამუშავრის მიცემაზედ; მაინც არაფერი გამოვიდა.

— ნურაფერს მომცემთ, — უთხრა დედა-ჩემმა; მე ვიშრომებ და ჩემის შრომით დავარჩენ ამას, — და როცა ჩემი იორგი უცხო ქვეყნიდამ დაბრუნდება, ის გაუკეთებს მზითევს და გაათხოვებს. იქნება არა გჯერათ! იორგი მე დამპირდა ამას; იმან მითხრა, როცა მიდიოდა: «დედა, მე დაგარჩენ შენცა და შენს შვილობილსაცაო».

იორგი მე ვიყავი. ეს მე აღვუთქვი დედა-ჩემს მტკიცედ ჩემს უცხოეთში წასვლის წინად. ეს მაშინ იყო, როცა დედა-ჩემი ჩვენს გამოსაზრდელად შრომობდა. მე თან დავსდევდი ხოლმე თამაშობით მინდორში მუშაობის დროს. ერთ დღეს სიცხისა და დაღალულობისაგან დედა-ჩემს გული შეუწუხდა და საქმეს თავი დაანება. წამოვედით შინ მინდორ-მინდორ და უეცრად მოგვასწრო საშინელმა წვიმამ, როგორიც ჩვენს ქვეყანაში ჩვეულებრივ მეტის-მეტს სიცხეს მოსდევს. ჩვენ უნდა ერთი მთის წყალი გადაგვევლო, რომელიც წვიმისაგან ძალზედ მოდიდებულიყო. დედა-ჩემს უნდოდა მხრებზედ შევესვი, მაგრამ მე არა ვქენი.

— შენ ჯერ ღონეზედ ვერა ხარ მოსული, — ვუთხარი მე, ვერ დამიმაგრებ.

ამ სიტყვებზედ მოვიკალთავე და მინამ დედა-ჩემი ჩემს დაჭერას მოასწრობდა, გულმაგრად წყალში შევტოპე; მაგრამ ჩემის თავის იმედი ტყუილი გამოდგა. ჯერ უკან გამობრუნებაზედაც არ მეფიქრა, რომ მუხლები მომეკვეცა, წავიქეც და ჩქარმა მდინარემ კაკლის ნაჭუჭსავით გამაქანა. მე გავიგონე საშინელი ხმამაღალი ამოკვნესა და სხვა ვეღარაფერი! ეს კვნესა იყო დედი-ჩემისა, რომელიც ჩემს საშველად წყალში შემოვარდნილიყო. როგორ არ დაიღრჩო, — დღესაც საკვირველად მაქვს; ეს წყალი მეტად საშიში წყალია, მეტადრე იმ ადგილას.

დედა-ჩემი თუმცა გულის-შეწუხებისაგან მისუსტებული იყო, გზისაგან დაღალული და იმისთანა გლეხის დედა-კაცის ტანისამოსს ეცვა, რომ წყლით დასველებულს ღონიერ ვაჟკაცის დაძირვაც კი შეეძლო, — მაგრამ მაინც არ მოერიდა, უეცრად შემოვარდა ამ საშინელ მდინარეში და თავისი სიცოცხლე არ დაზოგა თავის შვილისათვის, იმ შვილისათ-

დაუდევრობით უზიარებლად სიკვდილისაო. ვჩივლეთ ბლაღოჩინთან მაგრამ ჩვენს ჩივილს ის ბოლო ჰქონდა, რაც საზოგადოდ ამ გვარ ჩივილებსა აქვსო.

ბათუმში თურმე საქონლის ვოგზალიდამ პასაჟირების ვაგზალამდე მუდამ ლოკომოტივი გაქანებული დადის და რამდენსამე ალაგას იმისთანა ქუჩებსა სჭრება, სადაც ხალხი ბლომად დაიარება. თუმცა აქამდის უბედურება არა მომხდარა-რა, მაგრამ ამისთანა ხალხით სავსე ალაგს ლოკომოტივის სიარულს არ შეიძლება ცუდი ბოლო არა ჰქონდესო. კორესპონდენტი ამბობს აგრეთვე, რომ სიცხემ ბათუმელ ქალებს სირცხვილი დაავიწყათ და ქალი და კაცი თითქმის ერთად ბანაობენ ზღვაშიო.

ახლად გახსნილ ბათუმის რკინის გზის შტოზე თურმე მეტის მეტად აბრკოლებენ საქონლის პატრონებს. ჯერ არის და დიდხანს ალოდინებენ ჩვეულებრივ ვაგონების უქონლობის გამო და მერე ერთს სტანციაზედ რომ გადაასხდევინებენ საქონლის ქირას, მეორე სტანციაზედაც ხშირად ხელმეორედ ახდევინებენ რაღაც დამატებითს ქირასაო.

გაზეთს «თერგსა» სწერენ გროზნიდამ: გარემემო სოფლებს ეხლა მხოლოდ სამხედრო სამსახურში გაწვევაზედა აქვთ ლაპარაკიო. ვლადიკავკაზში ეხლა რომ კომისიაა შემდგარი აქაურებისაგან ჯარის შედგენაზედ, ამ კომისიის ამბებს თვალყურს ადევნებენ ჩეჩნელები და ჩერქეზები და ხშირად მეჩეთებში შუაღამემდე ცხარე ბაასი მოისმის ამ საგანზედაო.

## «დროების» კორესპონდენცია.

**ჩხარი, 24 ივლისს.** ყველასათვის ცხადია სამღვდელოების სილარიბე საზოგადოდ და კერძოდ იმერეთის სამღვდელოებისა. ეს სილარიბე ჰქონდა მთავრობას სახეში, როცა სამღვდელოებას დაუნიშნა ცოტაოდენი ჯამაგირი; მაგრამ ეს ჯამაგირი და მრევლიდამ მათი მცირე შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს სამღვდელოების კანონიერ მოთხოვნილებასაც. ამიტომაც არის, რომ სასულიერო წოდება მუდამ თავის სილარიბეზე ჩივის.

ამისთანა სილარიბეში დიდ შემწეობას აძლევს, თუმცა ყველას არა, მაგრამ ზოგიერთ ეკლესიების კრებულთ მაინც, ის საეკლესიო მიწები, რომელნიც ეკლესიების სასარგებლოდ დარჩნენ და რომლითაც ადგილობრივი ეკლესიების კრებულნი სარგებლობენ. ეს საეკლესიო მიწები ზოგან კაი ძალნი არიან და კაი სარგებლობასაც აძლევენ ადგილობრივ ეკლესიის კრებულს; მაგრამ ყველა ეკლესიის კრებული თანასწორად ვერ სარგებლობს ამ მიწებით და რატომ არის ეს ასე და ან ვისი წყალობით და დაუდევრობით მოსდის ეს სამღვდელოებას, ამას მკითხველი შემდეგიდამ დაინახავს.

ეპისკოპოზების შემდეგ დაბალი სამღვდელოება სასულიერო კანცელარიის მმართველების და ბლაღოჩინების ყურ-მოჭრილნი მონანი არიან. ამ უკანასკნელებს, როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ მღვდლების საქმეს. ბლაღოჩინი სოფლიდამ გამოგზავნის რაპორტს ყოვლად-სამღვდელოსთან, მმართველი კანცელარიაში წაყრის რაპორტს ნიშადურს, შემდეგ ასე შეზავებულს შეუტანს უმაღლეს მთავრობას და საწყალი მღვდელი, საქმის მიუხედავად, მმართველის მოხსენებით ან მედავითნის ალაგზე ჩამოჰყავთ და ან მონასტერში გზავნიან. მღვდელიც, შემდეგ შენანებისა, მირბის ისევ ჯერ ბლაღოჩინთან, იკეთებს მასთან საქმეს, რომ მან კი მოხსენება გამოგზავნოს მღვდელზე ეპისკოპოზთან; მერე კანცელარიაში გარბის და იქ მმართველთან ისე აზერხებს საქმეს, რომ მრევლს იბარებს, თუმცა ამ საქმის თაობაზე მმართველთან და ბლაღოჩინთან ნახარჯს სიკვდილამდე ვერ იშოვის.

რაც შეეხება საეკლესიო მიწების კრებულისაგან უთანასწოროდ სარგებლობას, ამაშიაც ის ორი ერთმანეთის მომხრე პირნი არიან ხოლმე დამნაშავენი. აი მაგალითიც: სოფლის ჩ—ის წმ. გიორგის ეკლესიაზე არის ზედ მიწერილი ეკლესია, რომელსაცა აქვს რამოდენიმე დესეტინა მშვენიერი მოსავლიანი მიწა. ამ ეკლესიებზე მსახურებენ ბლაღოჩინი მ. ჯ. და მღვდელი ა. ვ. კანონით ორივე ეს მღვდლები და მათი მედავითნენი უნდა სარგებლობდენ ამ ადგილით, მაგრამ ამ ადგილით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს მარტო ბლაღოჩინი და სხვანი მას შიშით ვერას უბედავდენ.

ეს რამოდენიმე წელიწადია, რაც წმ. გიორგის ეკლესიაზე ზედ მიწერილი ეკლესია კანტორამ მრევლის თხოვნით შტატად გახსნა და ამ შტატზე რომელიმე ადგილობრივი მღვდელი უნდა გადაეყვანა მთავრობას. ბლაღოჩინი, რასაკვირველია, არ გადვიდა, ამიტომ რომ ბლაღოჩინი იყო; მეორე მღვდელმაც უარი განაცხადა, რადგან იმ ახალის შტატის მრევლი მცირე იყო. მაგრამ მღვდელს შეჰპირდენ იმ საეკლესიო მიწას, რომელიც ამ ახალ შტატს ეკუთნოდა და რომლითაც ბლაღოჩინი სარგებლობდა. მღვდელი სიხარულით დათანხმდა ამაზე და გადვიდა ახალ შტატზე. ეკონა ამ ადგილს მისცემდენ საწყალს და მისი ფიქრიც კანონიერი იყო, რადგან ადგილობრივის ეკლესიის მიწით ადგილობრივი კრებული სარგებლობს. მღვდელი მიიქცა, ვისთანაც რიგი იყო და სთხოვა იმ შეპირებულის ადგილის მიცემა სასარგებლოდ, მაგრამ მას უთხრეს: «ის ადგილი ჯერ ბლაღოჩინსა აქვს და როცა ვადა გაუვა, მერე ორივეს მოგცემთო». მღვდელმა მოახსენა: «ბატონო, წინედ, როცა მე და ბლაღოჩინი ერთად ვემსახურებოდით, მაშინ სულ ის სარგებლობდა იმ მიწით და ეხლა იმას რა უფლება აქვს ამ ადგილზე შემომეზიაროსო?» მღვდლის სიტყვები შეწყნარებული არ იქმნა და ამიტომ მან ამ საქმეზე საჩივარი შეიტანა კანტორაში. კანტორამაც მოითხოვა საქმე, მაგრამ საქმის მაგიერ უბრალო მოხსენება გაუგზავნა კანტორას კანცელარიამ. მღვდლის თხოვნით კანტორამ ისევ მთელი საქმე მოიკითხა. რაღას იზამდა კანცელარია, საქმეც და თავისი მოხსენებაც უნდა გაეგზავნა კანტორაში, და რომ ბლაღოჩინისთვის ის მიწა არ წაერთმია კანტორას, კანცელარიის მმართველმა საქმე შემდეგის თავის მოხსენებით გაგზავნა კანტორაში: «მართალია ამ საეკლესიო მიწით სარგებლობს ბლაღოჩინი ჯ., მაგრამ ის სხვა სოფლიდამ არის მოსული ჩ—ში, სადაც მას არა აქვს მიწა და უამისოთაც მეტად ღარიბია». ეგეთი წარდგინება მისცა მმართველმა ბლაღოჩინს, როცა მმართველმა კარგად იცოდა, რომ ბ—ჩინს ჯ. ჰქონდა სოფელს ჩ—ში მშვენიერი ეზო და ორ-სართულიანი სახლი, დაბა ყვირილაში აშენებდა ქვითკირის სახლს და სოფელ ს. ჰქონდა კარგი სახნავ-სათესი მიწები და ვენახები. მაშ რად მისცა კანცელარიის მმართველმა ამისთანა წარდგინება ბ—ჩინს? მიტომ რომ ბ—ჩინს ისა სწყალობს და ბლაღოჩინი იმას.

კანტორამ განიხილა მღვდლის საქმე და შემდეგი განჩინება დასდო: «კანცელარიას არა ჰქონდა უფლება საეკლესიო ადგილები უვაჭროდ მიეცა, ამიტომ დაუყოვნებლივ მოახდინოს კანცელარიამ ვაჭრობა ამ ადგილზე და პირობა კანტორაშივე წარმოადგინოს დასამტკიცებლად». კანცელარიამ მიიღო ეს მოწერილობა და მისცა დაივიწყებას, რომ ბლაღოჩინს კიდევ ესარგებლა ამ მიწით. მღვდლის თხოვნით კიდევ მოითხოვა კანტორამ ვაჭრობის დაჩქარება, მაგრამ აგერ სამი წელიწადიც გადის და ამ საქმეს ბოლო არ მიეცა.

ბლაღოჩინს ეს ადგილი ჩუმად, ვითომ ვაჭრობაში, აქვს აღებული ხუთ მანეთად, როცა ადგილობრივი ვაჭრები, აზნაურები და გლეხები მზად არიან ოც-და-ათი თუმანიც მისცენ წელიწადში ამ ადგილში. ერთმა გლეხმა კიდეც სთხოვა ყოვლად-სამღვდელოეს ვაჭრობის დანიშვნა თანახმად კანტორის მოწერილობი-

---

ვის, რომლის შეწირვასაც აპირებდა ოდესმე თავის ქალის მაგივრად! შინ რომ დავბრუნდით და მე ძირს დამდეს, ჯერ კიდევ სრულს გონებაზედ არ ვიყავ მოსული. იმის მაგივრად რომ ჩემი მოუფიქრებლობა გამეკიცხა, მე ჩემს გულში ვთქვი, ეს საშინელი ამბავი არ მოხდებოდა, დედა-ჩემი რომ სხვაგან სამუშაოდ არ დადიოდეს მეთქი.

— მე არ მინდა, რომ შენ სხვაგან სამუშაოდ იარო, ვუთხარი მე დედა-ჩემს, როცა ტანის შეშრობის შემდეგ თითებით ჯერ კიდევ სველ თმას მიხუჭუჭებდა.

— მაშინ ვინ გვარჩენს, შვილო, მე რომ არ ვიმუშაო, ამოხვრით მომიგო იმან.

— მე, დედა, მე, ვუპასუხე ბავშვური სიამაყით.

— ჩვენს შვილობილს?

— იმასაც მე!

— დედა-ჩემმა თვისდა უნებურად გაიღიმა, რა დაინახა ჩემი გმირული პოზა ამ უბრალო სიტყვის წარმოთქმის დროს და ლაპარაკი ამ სიტყვით გაათავა.

— ჯერ შენს თავს მოუარე შვილო, და მერე ვნახოთ. პატარა ხანს უკან მე უცხო ქვეყანაში წავედი.

ეს ამბავი დიდიხანი იყო დედა-ჩემს დავიწყებოდა, მაგრამ მე არ დამავიწყდა, რომ იმისმა სიყვარულმა მეორედ სიცოცხლე მომანიჭა და ჩემი აღთქმა სამუდამოდ ჩემს გულში ჩავიმარხე.

— დღეის იქით, ვუთხარი მე წასვლის დროს, მე დაგარჩენ შენცა და შენს შვილობილსაც!

მე ჯერ არ ვიცოდი, რომ ათის წლის ბავშვი, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს, ვერ შეინახავს ვერც თავის დედას, ვერც თავის თავს; მე არც კი ვგრძნობდი, რა საშინელი გამოცდა მომელოდა წინ და რამდენი უსიამოვნობა და სიმწარე უნდა მიმეყენებინა დედა-ჩემისთვის ჩემის სხვაგან წასვლით.

რამდენსამე წელიწადს არამც თუ შემწეობა ვერა გავუგზავნე-რა დედა-ჩემს, ჩემს ამბავსაც კი ვერ ვაწოდებდი. იყო ერთი დრო, როცა მე არ ვიცოდი დედა მყავდა, თუ არა და იმან არ იცოდა, ჰყავდა, თუ არა შვილი. ხან რას ეუბნებოდენ, დედა-ჩემს, ხან რას; ზოგი ამბობდა თურმე სტამბოლში რაღაც ხიფათი შეემთხვაო; ზოგი—გათათრდაო; ზოგი,—კაპროსის ნაპირებთან გემი დაეღუპა, რომელშიაც ის იჯდაო; ზოგი ქუჩა-ქუჩა დაგლახაკობსო... საწყალი დედა-ჩემი ცდილობდა თურმე თავისი თავი დაეჯერებინა, რომ ეს სამწუხარო ამბავი სულ ტყუილი იყო, მაგრამ იმავე დროს ტირილით ღმერთს ევედრებოდა, ჩემი გონება გაენათლებინა და ისევ მამა-პაპის რჯულზე დავებრუნებინე; ხან გამოჰკითხავდა ხოლმე გამვლელ-გამომვლელ გლახებს, ან ზღვაში დაღუპვისაგან გადარჩენილებს და სცდილობდა მათს ძონძებ ქვეშ თავისი შვილი ეცნო; ხან ღარიბებს თავის უკანასკნელს ლუკმას აძლევდა იმ იმედით, რომ სხვა ღვთის-მოყვარენი ამ გვარადვე მე გამიკითხავდენ.

მაგრამ როცა იმის შვილობილზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ყოველისფერს ივიწყებდა: ის ეუბნებოდა ჩემს ძმებს, ჩემის იორგის გულუხვობა შეგარცხვენთო თქვენ; ის გაათხოვებს ჩემს ქალს და მზითევსაც ის მისცემსო.

(შემდეგი იქნება).

სა. ამ გლეხის თხოვნაზე ყოვლად-სამღვდელომ მიახლოებით შემდეგი დააწერა: «რად აგვიანებს კანცელარია ამ საქმეს და მსვლელობას არ აძლევს»? მაგრამ კანცელარიაში ეს თხოვნაც იქ ამოიდვა, სადაც სხვა საქმეებიც დიდი ხნობით განსვენებას ეძლევიან. გლეხები კი სულით და გულით მოელიან ამ ადგილის ვაჭრობით გაცემას.

საქმე კანცელარიის წყალობით ჩერდება და ეკლესიას მით ზარალი ეძლევა. მართალია, კანტორის ამ ფერი გარდაწყვეტილება შესახებ საეკლესიო ადგილებისა ცუდია ღარიბის მღვდლებისათვის, რომელნიც აქამომდე ამ ადგილებით სარგებლობდენ, მაგრამ საქმის კანცელარიაში გაჩერებით ვითომ რა გაკეთდება?

X.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

მე 126 №-ში თქვენის პატივცემულის გაზეთისა არის გადმოღებული «Юрид. обозрѣн.»-დამ შემდეგი ცნობა: «სწერენ ახალ-სენაკიდამ, რომ ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებელს მოსამზადებელი კლასები გაუმართავს, რომლებშიაც მოსწავლეებისგან ხუთ-ხუთი თუმანი აიღეს წინ-და-წინვე; მაგრამ ამ სასწავლებელმა მხოლოდ ოთხი თვე გასძლო და მასუკან სასულიერო მთავრობის ბრძანებით დაიკეტა. მშობლებმა წინ-და-წინ გადახდილი ფული ითხოვეს, მაგრამ არც ასას აძლევენ».

რამდენად მართალია ეს ცნობა, შეიძლება დაინახოთ შემდეგიდამ: შარშან სეკტემბერს შემოვიდა სასწავლებელში მისაღებად თხოვნა ოთხმოც-და-ათამდე, ადგილი კი მხოლოდ 30 ყმაწვილისათვის იყო. ამისთვის სასწავლებელმა მიიღო მხოლოდ 30 ყმაწვილი, ისიც სასულიერო წოდებისა, რადგან სასწავლებელი ამ წოდებისაა და საერო წოდების ყმაწვილებს უარი უთხრა. მაშინ ამ უკუნაცრილების მშობლებმა მისცეს თხოვნა ყოვლად-სამღვდელოს იმერეთისას, რათა მისცემოდათ ნება გაეხსნათ თავიანთ ხარჯზე პარალელური მოსამზადებელი კლასი და ყოვლად სამღვდელომ მისცა ნება, უკეთუ ისინი კლასის შესანახ ფულს გარდა შემოიტანდენ აგრეთვე სწავლის ფულს, როგორც მოითხოვს წესდება სასწავლებლისა. ასე გაიხსნა ერთი კლასი. თითო შეგირდს შეხვდა 25 მ., და არა ხუთი თუმანი. კლასი იყო სწავლის სრული წლიწადი, და არა ოთხი თვე. დაიკეტა იმისთვის, რომ მშობლებს არ შემოაქვთ ფული მეორე პარალელური კლასის დასაარსებლად, რადგან ის შეგირდები, რომელნიც შარშანდელ კლასში იყვნენ, უნდა იქმნენ გადაყვანილნი შემდეგში და ამ შემდეგში კი ადგილი სრულებით არ არის; მაშ სადამე უნდა იქაც ახალი პარალელური კლასი გაიხსნას. რაც შეეხება ფულის უკან დაბრუნებას, ესეც აზრიერული თხოვნაა, რადგან არ ვიცი,—რომელი სასწავლებელი უბრუნებს მშობლებს სწავლის ფულს, ან რომელი სასწავლებელი აძლევს იმავე მშობლებს რაიმე ანგარიშს იმ ფულის მოხმარებაზე(?).

იმედი მაქვს, რომ ამ წერილს გადაბეჭდავს, როგორც «Юр. обозрѣніе» რომელშიაც იყო დაბეჭდილი ეს ცრუ ამბავი, აგრეთვე სხვა გაზეთები, სადაც ეს გამეორებული იყო.

ზედამხედველი სენაკ. სას. სასწავლებლისა
ა. ხელაშვილი.

## განცხადებანი

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალეზები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაკნეზია, ხელთათმანები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკელაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—10)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურ მაღაზიაში. იქვე იყიდება 25% იაფათ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, ლანბანჯალი, კოვზები, ფანდლისები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიშები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის ხელთათმანები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1 ლის სარისხისა. (100—95)


# სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.



ინგლისის მაღაზიაში

# თმის-აღმომყვანი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს. ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—12)

# მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.



სავლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უხეოვთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აურაცხელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლეონკები. ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმასხი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეკვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, საფულეები. საყელოები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შტოპორები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქამა ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—53)


## მაზანდა

პურაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსულის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 1/2 |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 1/2 |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ქვაბის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3 1/2 |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозволено цензурою Тифлисъ, 27 Іюля 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველი ძმილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.